

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სავარაუდო პოლიტიკური მოწივაციის მარნე
სისხლის სამართლის და აღმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა საქმეები

სამართლებრივი ანალიზი

მოკლე მიმოხილვა

**სავარაუდო პოლიტიკური
მოწივაციის მეორე სისხლის
სამართლის და აღმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა საქმეები**

სამართლებრივი ანალიზი

**თბილისი
2011**

კვლევა დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების
სამეცნიერო საელჩოს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებე-
ლია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და არ
შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც დონორის ოფიციალური
პოზიცია.



Kingdom of the Netherlands

ავტორები: ეპათერიძე ფოფხაძე
ეპათერიძე ხუციშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეპათერიძე ფოფხაძე
თამარ ხილაშვილი
თამარ ჩუგოვილი



აინტერ და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ქ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 95 23 53, 93 61 01
ტირაჟი: 500 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება
ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი
ნებართვის გარეშე

© 2011, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საგარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართლებრივ ანალიზს. კვლევის მიზანია კონკრეტული საქმის შესწავლა და იმის დადგენა, თუ რა მოცულობით შეეძლო გავლენის მოხდენა პოლიტიკურ მოტივს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე. აღნიშნული განხორციელდა იმის შეფასებით, იყო თუ არა დაცული შესაბამისი საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ნორმები.

წინამდებარე კვლევაში განხილულია ძირითადად 2009 წლის გაზაფხულზე საპროცესტო აქციების მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში დაკავებულ/დაპატიმრებულ პირთა საქმეების სამართლებრივი ანალიზი. აღნიშნული კვლევის განხორციელების აუცილებლობა, ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, სწორედ მას შემდეგ დავინახეთ, რაც საზოგადოებასა და საერთაშორისო წრეებში¹ აქტიურად დაიწყო საუბარი საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ. საქმეების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ, ასევე, სისხლისამართლებრივი დევნის თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლო პოლიტიკური მოტივი.

კვლევისათვის შეირჩა 24 საქმე, აქედან – 6 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და 18 სისხლის სამართლის საქმე.² საქმეების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა რეგიონული

¹ After the Rose, the Throns: Political Prisoners in Post-Revolutionary Georgia, fidh Publication, 7th August, 2009, http://www.fidh.org/IMG/article_PDF/article_a6870.pdf last accessed on 25 September, 2010. ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2007 წლის II ნახევარი, 2008 წლის I და II ნახევარი - საქართველოს სახალხო დამცველი. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური პატიმრების სია.

² საქმეების უმრავლესობა წარმოადგენს დასრულებულ საქმეებს, რომლებზეც უკვე დამდგარია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

პრინციპიც.³ თერთმეტ სისხლის სამართლის საქმეში ძირითად ბრალდებას ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობა წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პერიოდში იმატა მოცემული ბრალდებით საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა და ოპოზიციის აქტივისტების დაკავების ფაქტებმა. დანარჩენი საქმეები კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის ცნობადობის ან მისი პარტიულობის, ასევე დაკავებულის უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო. ყველა ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განხილულია 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, რომელიც მოქმედებდა 2010 წლამდე.

დანაშაულთა ჯგუფები

შესწავლილი საქმეები შეიძლება დაიყოს ქვემოთ მოცემული კატეგორიების მიხედვით:

- I. ნარკოტიკებსა და იარაღთან დაკავშირებული დანაშაული

ორგანიზაციის მიერ შესწავლილ იქნა 11 საქმე, რომლებშიც პირთა მსჯავრდება მოხდა (ან ჯერ კიდევ მიმდინარეობს სისხლისამართლებრივი დევნა) ცეცხლსასროლი იარაღის ან ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნა/შენახვისა ან მისი გადაზიდვა/გადაგზავნა/ტარებისთვის. განხილული კონკრეტული საქმეების ინდივიდუალობის მიუხედავად, ყველა საქმეში იკვეთება საერთო ტენდენციები:

გამოძიების დაწყების საფუძველს წარმოადგენს ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც გადამოწმებას არ ექვემდებარება. აღნიშნულს მოჰყვება საპროცესო იძულების ღონისძიება (ჩხრეკა) და შემდგომ, ამის საფუძველზე, დაკავება. თუმცა, შეინიშნება სხვაგვარი რიგითობაც, კერძოდ: პირის დაკავება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მხოლოდ ამის შემდ-

³ შესწავლილ იქნა საქმეები შემდეგი რეგიონებიდან: თბილისი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამეგრელო, სვანეთი, კახეთი, გურია.

გომ მისი ჩხრეკა. აღნიშნული პირდაპირ ენინაალმდეგება კონსტიტუციას და სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

ყველა საქმეში საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკა – ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, დასაბუთების გარეშე. ხოლო უშუალოდ ჩხრეკის დროს დამსწრის მოწვევის კანონით გარანტირებული უფლება უსაფუძვლოდ შეიზღუდა.

გამოძიების ეტაპზე არც ერთ საქმეში, ერთის გარდა, არ არის ჩატარებული დანაშაულის საგნის (იარაღის, ნარკოტიკის) ექსპერტიზა სავარაუდო კუთვნილების დასადგენად.⁴

ზემოაღნიშნულის მსგავსად, სასამართლო პროცესზეც არც ერთ საქმეში, ერთის გარდა, არ არის გამოკვლეული ნივთიერი მტკიცებულებები,⁵ რაც ენინაალმდეგება სასამართლო განხილვის ზეპირობის შიდა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულ პრინციპს.

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ დანაშაულთა უმრავლესობაში პირები ცნობილ იქნენ დამნაშავედ იარაღის შეძენისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ საბრალდებო დასკვნაში, ისევე როგორც გამამტყუნებელ განაჩენში, ბრალის ფორმულირება მოიცავს განსასჯელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენას დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ე.ი. სახეზეა პირის მსჯავრდება ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.

II. დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საქმეები

გამოიკვეთა 6 სისხლის სამართლის საქმე, სადაც კონკრეტული მუხლით ქმედების კვალიფიკაცია სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

სასამართლომ არ იმსჯელა იმ აუცილებელ გარემოებებზე, რომელთა დადგენა იმპერატიულად ევალებოდა კონკრეტული მუხლებით ქმედებათა კვალიფიკაციის დროს: განზრახვა, მო-

⁴ ცინცვაძის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის გარდა.

⁵ გოჩა ჯიქიას მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის გარდა.

ტივი, მიზანი. გამოიკვეთა ქმედების უფრო მკაცრი მუხლით კვალიფიკაცია, ვიდრე ამ ქმედებისათვის იყო კანონით განსაზღვრული და, ასევე, ტენდენცია, რომ სამოქალაქო დელიქტი-საგან მკვეთრად არ გაიმიჯნა სისხლისამართლებრივად დასჯადი ქმედება.

III. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

კვლევაში განხილულია 2009 წლის საპროტესტო აქციის დროს პოლიციის მიერ წვრილმანი ხულიგნობის და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობისთვის 30 დღით ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირთა საქმეები. აღნიშნული საქმეების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს მიერ რეალურად არ იქნა გამოკვლეული, თუ რაში გამოიხატა წვრილმანი ხულიგნობა ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ პოლიციელთა ახსნა-განმარტებებს და არ დაასაბუთა, თუ რატომ არ გაიზიარა დაკავებულთა ჩვენებები.

საერთო ტენდენციები

ჩვენ მიერ შესწავლილი თითქმის ყველა საქმის მიმართ გამოიკვეთა საერთო ტენდენციები: დაცვის მხარის შუამდგომლობათა უსაფუძვლო და სერიული დაუკრძალვით დაუმორჩილებლობა; სისხლის-სამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების არაგონივრული გაჭიანურება, სამართალდამცავების მიერ პირზე ზემოქმედების მიზნით; სასჯელის არაპროპორციულობა და დაუსაბუთებლობა – სასამართლოს ლმობიერება ზოგიერთი დანამაულის მიმართ დასაბუთების გარეშე.

დასკვნა

კვლევაში განხილული საქმეების სამართლებრივმა ანალიზმა გამოავლინა სერიოზული ხარვეზები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას იმ პირთა მიმართ, რომლებიც, საკუთარი ან უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური საქმიანობის ან საზოგადოებრივი აქტივობის გამო, ხელისუფლების შესაძლო ოპონენტებად შეიძლება ჩაითვალონ. აღნიშნულს ხელს უწყობს როგორც საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე საპროცესო კანონმდებლობის არასწორი განმარტება და დადგენილი მავნე პრაქტიკა. განხილულ საქმეებში ნებისმიერი ეჭვი, გამოწვეული საკანონმდებლო ხარვეზით ან საქმარის მტკიცებულებათა არარსებობით, როგორც წესი, განმარტებულია დაკავებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის წინააღმდეგ. საგამოძიებო ორგანოების თვითნებობას სათანადო კონტროლს ვერ უწევს და ბრალდების პოზიციას ყოველგვარი განსჯის გარეშე იზიარებს სასამართლო ხელისუფლება, რომლის როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უკიდურესად შემცირებულია.⁶

⁶ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანის საქმე, სადაც დევნა შეწყდა სასამართლოს მიერ 2009 წელს, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ მოხსნა ბრალდება.

I. ცეცხლსასროლი იარაღის ან ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობასთან დაკავშირებული საქმეების ანალიზი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ შესწავლილ იქნა 11 საქმე, რომელებშიც პირთა მსჯავრდება მოხდა (ან ჯერ კიდევ მიმდინარეობს სისხლისამართლებრივი დევნა) ცეცხლსასროლი იარაღის ან ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა/შენახვისა ან მისი გადაზიდვა/გადაგზავნა/ტარებისთვის. განხილული კონკრეტული საქმეების ინდივიდუალობის მიუხედავად, ყველა საქმეში იკვეთება საერთო ტენდენციები.

ოპერატიული ინფორმაცია, როგორც ჩხრეკისა და დაკავების საფუძველი

თითქმის ყველა საქმეში საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკის) საფუძველია ოპერატიული ინფორმაცია. კერძოდ, ყველა საქმეში დევს პატაკი, რომელიც თვისობრივად წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის წერილობით განცხადებას. პატაკ-ში, როგორ წესი, მითითებულია, რომ პოლიციელს აქვს ოპერატიული ინფორმაცია სავარაუდოდ დანამაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ. ამ წერილობითი განცხადების საფუძველზე, იქსება ფორმა №1, რაც ოფიციალურად ადასტურებს წინასწარი გამოძიების დაწყებას. ამის შემდეგ ტარდება ჩხრეკა.

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში „საპროცესო კოდექსი“) ჩხრეკის ჩატარებამდე მოითხოვდა მტკიცებულებების არსებობას, რომლებიც იძლეოდა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ესა თუ ის აკრძალული ნივთი პირთან ინახებოდა.⁷ საპროცესო კოდექსის მიხედვით, ოპერატიული ინფორმაცია თავისითავად არ წარმოადგენს მტკიცებულებას.⁸ შესაბამისად, გამოდის, რომ მხოლოდ პა-

⁷ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბერს შევიდა, ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე.

⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110 მუხლი.

ტაკის საფუძველზე ჩერეკის ჩატარება დაუშვებელია. პატაკის გარდა, აღნიშნულ საქმეებში ჩერეკის ჩატარებამდე არანაირი მტკიცებულება არ დევს, რომელიც შექმნიდა ვარაუდს, რომ კონკრეტულ პირს გააჩნიდა იარაღი ან ნარკოტიკული საშუალება. შესაბამისად, იმის გადამოწმება, თუ რა ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა ჩერეკა და რეალურად არსებობდა თუ არა რაიმე ოპერატიული ინფორმაცია, შეუძლებელია. აღნიშნული გარემოებები თვითნებობის საფუძველს ქმნის – ასეთი პრატიკა ხელ-ფეხს უხსნის სამართალდამცავებს, შექმნან პატაკი; დამსწრის მოწვევის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში გაჩერიკონ პირი და აკრძალული ნივთი ამოუღონ. ასეთ შემთხვევებში, პრატიკულად შეუძლებელია იმის დადგენა, რეალურად ჰქონდა თუ არა პირს აკრძალული ნივთი ჩერეკამდე.

ჩვენ მიერ შესწავლილი საქმეებიდან, მხოლოდ ორ საქმეზე მოხდა ჯერ პირის დაკავება და შემდეგ ჩერეკა. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა არსებობდეს საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით⁹ გათვალისწინებული დაკავების რომელიმე საფუძველი, რომელთა ჩამონათვალშიც არ არის ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაკავება. სამართალდამცავების განმარტებით, დაკავება განხორციელდა დანაშაულზე წასწრების საფუძველზე, თუმცა, ზემოაღნიშნული ორი საქმის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ასეთი კანონისმიერი საფუძველი დაკავების დროს არ არსებობდა. შესაბამისად,

⁹ საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის | ნაწილის თანახმად, ეს გარემოებებია:

1. პირს წასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
2. თვითმხილევები, მათ შორის, დაზარღებულებიც, პირდაპირ უთითებენ ამ პრატიკულობაზე;
3. პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის ასკრია კვალი;
4. პირი მიიმაღლა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო დაზარღებულმა;
5. პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ქების წარმოების შესახლოა მიიმაღლოს.
6. პირი შესაძლოა მიიმაღლოს.

გაურკვეველია, რა წარმოადგენდა დაკავების საფუძველს
სსენებულ საქმეებში.

გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკის დასაბუთება

ჩხრეკის ჩატარებლად აუცილებელია სასამართლოს ნებართვა. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ჩხრეკა ხდება გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, შესაძლებელია იგი ჩატარდეს სასამართლო ნებართვის გარეშე, თუმცა, ამის შემდეგ უნდა დაკანონდეს მოსამართლის მიერ. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად,¹⁰ გადაუდებელი აუცილებლობის არსებობა უნდა დასაბუთდეს. დასაბუთებაში იგულისხმება კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებების მითითება, რომელებმაც აუცილებელი გახადა გადაუდებელ რეჟიმში მოქმედება. ჩვენ მიერ შესწავლილ ყველა საქმეში ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში და, შესაბამისად, მოსამართლის წინასწარი თანხმობის გარეშე. თუმცა, არც ერთ საქმეში არ არის დასაბუთებული, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მითითებით, რატომ გახდა აუცილებელი ჩხრეკის ჩატარება აღნიშნული წესით.

დამსწრის მოწვევა ჩხრეკის ჩატარებისას

საპროცესო კოდექსის თანახმად, დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის, ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ფაქტის, მიმღინარეობის და შედეგების დასაღასტურებლად. დამსწრე წარმოადგენს დამცავ მექანიზმს თვითნებობის თავიდან ასაცილებლად. დამსწრის მოწვევის შემდეგ მისი მონაწილეობა სავალდებულოა საგამოძიებო მოქმედებებში. მონაწილეობაში იგულისხმება ჩხრეკის მიმღინარეობის სრული პროცესის დაკვირვება ისე, რომ ვიზუალურად აღქმადი იყოს ჩხრეკის ჩამტარებელი პირის საქმიანობა.

¹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი და 290-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები.

ჩვენ მიერ შესწავლილ საქმეებში მხოლოდ ოთხ შემთხვევაში განემარტა გასაჩხრეკ პირს დამსწრის მოწვევის უფლება.¹¹ ოთხივე შემთხვევაში, აღნიშნული უფლება გამოყენებულ იქნა გასაჩხრეკი პირების მიერ. არც ერთ საქმეში დამსწრეს არ მიეცა დაკვირვების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა. აქედან ორ საქმეში დამსწრე არ ადასტურებს იარაღის ამოღების ფაქტს.

საქმეთა უმრავლესობაში პოლიციის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ გასაჩხრეკ პირს განუმარტეს დამსწრის მოწვევის უფლება, თუმცა, მათ ამ უფლებით არ ისარგებლეს. საპირისპიროს ამტკიცებენ თავად გასაჩხრეკი პირები: მათი განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებს არ განუმარტავთ, რომ ჰქონდათ დამსწრის მოწვევის უფლება და შესაძლებლობა.

შესწავლილ საქმეებში ნათელია დამსწრის ინსტიტუტის ნიველირების ტენდენცია. შესაბამისად, აღნიშნული საქმეების უმეტესობაში მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები, ანუ ჩხრეკის ჩამტკარებელი პირები ადასტურებენ იარაღის ან ნარკოტიკის ამოღების ფაქტებს.

ექსპერტიზის ჩატარებლობა

განსახილველ საქმეებში არც ერთი პირი არ აღიარებს დანაშაულს და არ ადასტურებს ამოღებული ნივთის მისადმი კუთვნილებას. ამ ფონზე აქტუალობას იძენს ამოღებული ნივთისათვის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების საკითხი, რათა დადგინდეს თითის ანაბეჭდების არსებობა ნივთზე და, შესაბამისად, პირისადმი ნივთის კუთვნილების ფაქტი. ჩვენ

¹¹ ცალენე აღნიშვნის ღირსია მ. შენგელიას საქმე, რომლის მიხედვით, ჩხრეკა ჩატარდ როგორც შენგელიას ბინაში, ასევე საცხოვრებელ სახლში. ბინაში ჩხრეკისას დამსწრე არ ყოფილა მოწვეული თუმცა, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, საქმის მასალებით ირკვევა, რომ დამსწრები იყვნენ მოწვეულები. საქმის მასალების სრულყოფილად გაცნობის შესაძლებლობა არ მოგვცა, რადგანაც დაცვის მასარემ ვერ წარმოადგინა სრულყოფილი მასალები, ამიტომ ვერ ვმსჯელებთ ამ საქმეში დამსწერების მიერ ჩხრეკის დაკვირვების პროცესზე.

მიერ განხილულ საქმეებში, ერთი გამონაკლისის გარდა,¹² გამოძიების ინიციატივით აღნიშნული ექსპერტიზა არ ჩატარებულა.

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც ყველა ამოღებულ იარაღს უტარდებოდა ბალისტიკური ექსპერტიზა მათი ვარგისიანობის დადგენის მიზნით, გამოძიება არ სვამდა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების საკითხს. პირდაპირ მოთხოვნას ამ სახის ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. თუმცა, ვინაიდან გამოძიებას ევალება საქმის ობიექტური გამოძიება და მტკიცების ტვირთიც მასვე აკისრია, ამასთან, როდესაც მხარე სადავოდ ხდის იარაღის ან ნარკოტიკის კუთვნილების ფაქტს – გამოძიების მნარმებელი ორგანო, საქმის სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიების ვალდებულებიდან გამომდინარე, მოვალეა ჩატაროს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა და დაადგინოს ამოღებულ ნივთზე თითის ანაბეჭდების არსებობა.

ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც აკრძალული ნივთის ამოღება ხდება საცხოვრებელი სახლის ან მანქანის ჩხრეკის დროს და, იმავდროულად, სახლში სხვა სრულნლოვანი წევრებიც ცხოვრობენ, ან მანქანაში სხვა პირებიც იმყოფებიან. ამ დროს მნიშვნელოვანია, გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი და დადგინდეს კონკრეტული პირისადმი აკრძალული ნივთის კუთვნილების ფაქტი.

სასამართლო პროცესზე მტკიცებულების გამოკვლევის სავალდებულობა

ჩვენ მიერ შესწავლით საქმეთა უმრავლესობაში პირის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება მოხდა ისე, რომ ამოღებული იარაღი არ იქნა გამოკვლეული სასამართლო პროცესზე, ანუ სასამართლომ ისე ცნო პირი დამნაშავედ, რომ ამოღებული აკრძალული საგნის დათვალიერებით არც კი დაინტერესებულა.

¹² იხ. ცინცაძის საქმე.

საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის მიხედვით, ყველა მტკიცებულება უნდა იყოს სასამართლოზე წარდგენილი და გამოკვლეული. მტკიცებულების ერთ-ერთი სახე არის ნივთმტკიცება. საპროცესო კოდექსის 485-ე მუხლის მიხედვით, გამოძიებისას სასამართლო ახდენს ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებას. თუკი ნივთიერი მტკიცებულების გამოკვლევა არ ხდება სასამართლოზე, მაშინ დაუშვებელია მისი სასამართლო კამათში მოშველიება ან განაჩენში მოხსენიება. საპროცესო კოდექსის 496-ე მუხლის მიხედვით, განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული, რაც გულისხმობს, რომ იგი მხოლოდ გამოკვლეულ მტკიცებულებებს უნდა ეყრდნობოდეს.

მაგალითად, ვლადიმერ ვახანიას საქმეში თავად დაცვის მხარე აყენებდა მოთხოვნას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის პროცესზე წარმოდგენისა და გამოკვლევის შესახებ, რაც არც პირველი ინსტანციის და არც საპელაციო სასამართლოების მიერ არ დაკმაყოფილდა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იარაღის ან ნარკოტიკის შეძენისთვის

იარაღის ან ნარკოტიკის შეძენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელია დადგინდეს შეძენის ზუსტი დრო და თარიღი. ჩვენ მიერ განხილულ საქმეთა უმრავლესობაში ცეცხლსასროლი იარაღის ან ნარკოტიკული საშუალების შეძენისთვის პირის მსჯავრდება ხდება ისე, რომ შეძენის დრო და ვითარება არ დგინდება, ხოლო საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ შეძენა მოხდა „დაუდგენელ დროსა და ვითარებაში“. ტერმინი „დაუდგენელ დროსა და ვითარებაში“ შესაძლებელია გამოვიყენოთ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მსჯავრდება ხდება შენახვისთვის, გასაღებისთვის ან სხვა შემთხვევებში. რაც შეეხება იარაღის (ნარკოტიკების) შეძენას, ამ შემთხვევაში, აუცილებელია ქმედების განხორციელების დროის განსაზღვრა.

როდესაც გამოძიებისთვის შეუძლებელი ხდება ცეცხლსას-

როლი იარაღის შეძენის ფაქტის ზუსტად განსაზღვრა, ამ შემთხვევაში, მინიმუმ ვერ აღმოიფხვრება ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ:

- გასულია სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადა; ან
- სახეზეა მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები.

იქიდან გამომდინარე, რომ სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირის გასამართლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას, ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ხანდაზმულობის ვადის გაუსვლელობის დასაბუთება.

თუკი კონკრეტულად არ არის განსაზღვრული ზემოაღნიშნული ელემენტები, მაშინ ირღვევა ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი.

II. სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მეორე სისხლის საგართლის საქმეების ანალიზი, სადაც არ ფიგურირებს ნარ- კოტიკები და ცეცხლსასროლი იურიდის უკანონო შემთხვევა/შენახვა

საქმეებში, სადაც არ ფიგურირებს ნარკოტიკები და ცეცხლსას-
როლი იარაღის უკანონო შეძენა/შენახვა, მაგრამ რომლებიც
კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის
პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების ან დაკავებულის
უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო, ტენ-
დენციის სახით შეინიშნება ქმედების არასწორი კვალიფიკა-
ცია. ეს, ერთი მხრივ, გამოიხატება ბრალდებულის მდგომარე-
ობის დამძიმებაში (უფრო მყაცრი მუხლით კვალიფიკაცია) და,
მეორე მხრივ, განხორციელებული ქმედების სისხლისამარ-
თლებრივად არასწორ კვალიფიკაციაში. მაგალითის სახით,
მოკლედ მიმოვიხილავთ რამდენიმე საქმეს.

ქმედების კვალიფიკაცია:

I. შალვა გოგინაშვილის მსჯავრდება მოხდა სისხლის სამართ-
ლის კოდექსის მე-19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (განზრას
მკვლელობის მცდელობა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმი-
ანობასთან დაკავშირებით).

2009 წლის გაზაფხულზე რუსთაველის გამზირზე მიმდინარე
საპროტესტო აქციის დროს, მომიტინგებებსა და პოლიციის
თანამშრომლებს შორის წამოწყებული ჩსუბის შედეგად, ორი
პოლიციელი დაიჭრა. ერთ-ერთი პოლიციელის დაჭრა ბრალად
დაედო შ. გოგინაშვილს.

საქმის შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ საქმის მასალებით
ვერ დასტურდება შ. გოგინაშვილის ქმედების დამამძიმებელ
გარემოებებში მკვლელობის მცდელობად კვალიფიკაციის
კანონიერება. საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის
საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ – ეჭვი იმის თაობაზე, რომ

შ. გოგინაშვილის ქმედება უფრო მსუბუქი მუხლით (ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ერთ-ერთი მუხლი) გათვალისწინებულ შემადგენლობას წარმოადგენს, არ აღმოფხვრილა. ამ საქმეში ეჭვს ინვესტიციების არა მხოლოდ ექსპერტის დასკვნის კანონიერება და უტყუარობა, არამედ საქმეში არ არის სათანადოდ დადგენილი დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშნები: განზრახვა და მოტივი. კერძოდ, რამდენად ჰქონდა ბრალდებულს განზრახული მსხვერპლის მოკვლა და რატომ შეიძლებოდა ჰქონდა ეს განზრახვა. უფრო რთულადაა ვითარება დამამდიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, შ. გოგინაშვილს მსჯავრად დაედო მკვლელობის მცდელობა „მსხვერპლის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“. საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ არც დაზარალებულს და არც მის გვერდით მდგომ პირებს სამსახურებრივი ფორმა არ ეცვათ. ეჭვი მისა, იყო თუ არა დაზარალებული პოლიციელი და ასრულებდა თუ არა საზოგადოებრივ მოვალეობას, არ აღმოფხვრილა. კერძოდ, საქმეში არ დევს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ დაზარალებული იყო სამართალდამცავი უწყების თანამშრომელი. ამასთან, საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ დაზარალებული, მისივე განმარტებით, უმუშევარია. შესაბამისად, ეჭვს ბადებს შალვა გოგინაშვილის ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის კანონიერება.

II. ლევან გოგიჩაიშვილს მსჯავრი დაედო ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანებაში, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით. აღნიშნული კვალიფიკაცია არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან და იქმნება შთაბეჭდილება, რომ კვალიფიკაცია ხელოვნურად არის დამძიმებული. გამამტყუნებელი განაჩენის მიხედვით, ლევან გოგიჩაიშვილმა სრულიად უმიზეზოდ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დავით ლეჟავას, რომელმაც მიყენებული შეურაცხყოფის გამო ხელი გაარტყა ლ. გოგიჩაიშვილს სახის არეში. იმავდროულად, ლ. გოგიჩაიშვილმა, ხულიგნური ქვენაგრძნობით თანაქონი დანით, დავით ლეჟავას მარცხენა საზარდულში ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა.

საბრალდებო დასკვნასა და განაჩენებში მითითებულია, რომ ლ. გოგიჩაიშვილმა დაზარალებულს უმიზეზოდ დაარტყა დანა. პროცესის მწარმოებელი ორგანოს წინაშე დავით ლეუჟავას (დაზარალებული) მიერ მიცემული ჩვენების სამართლებრივი შეფასება გამორიცხავს ხულიგნური ქვენაგრძნობის არსებობას. დაზარალებულის განმარტებით, გოგიჩაიშვილმა დანა მას შემდეგ დაარტყა, რაც დაზარალებულმა ლ. გოგიჩაიშვილის უახლოეს მეგობარს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. უფრო მეტიც, სასამართლო გამოძიებით დასტურდება, რომ საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა დავით ლეუჟავამ პირველმა გაარტყა გოგიჩაიშვილს სახის არეში, ე.ი. სახეზე იყო პირადი მოტივი, ეს უკანასკნელი კი, სამართლებრივად, გამორიცხავს ხულიგნურ ქვენაგრძნობას.

III. სერგო ბექელია მსჯავრდებულ იქნა ხულიგნობისთვის. ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს ქმედებას, რომელიც ჩადენილია ძალადობით ან ძალადობის მუქარით. ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია ასევე შედეგი, ანუ საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა. ამ ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებას მიეკუთვნება აგრეთვე საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა. შესაბამისად, ყოველგვარი პირადი მოტივით მიმდინარე ჩხუბი, კამათი და ხმამაღალი საუბარი, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს და უხეშადაც არღვევდეს საზოგადოებრივ წესრიგს, თუკი არ არის ჩადენილი საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობით, არ იქნება ხულიგნობა. ამ დანაშაულის არსებობისთვის აუცილებელია სუბიექტური მხარეც, კერძოდ, საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობის წინასწარი განზრახვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა *a priori* არ უდრის საზოგადოებისადმი უპატივცემლობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მთავარია კონფლიქტის მოტივი, მიუხედავად ჩხუბის ადგილისა.¹³ ხულიგნობა გამოირიცხება, როდესაც პირად ნიადაგზე მიმდინარეობს კონფლიქტი, მიუხედავად ჩხუ-

¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 თებერვლის განჩინება საქმეზე №210აპ.

ბის ადგილმდებარეობისა.¹⁴

სერგო ბესელიას ქმედების კვალიფიკაცია ხულიგნობად დაუსაბუთებელია, რადგან იგი რეალურად მოქმედებდა პირადი ინტერესიდან გამომდინარე და არა საზოგადოებისადმი უპატივცემლობის მიზნით. კერძოდ, ბესელია კონფლიქტის პირველ ეტაპზე ცდილობდა მხარეთა შერიგებას (დადასტურებულია მოწმეების ჩვენებებით). იგი ჩხერიში ჩაერთო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის დას შეაგინეს. აქ უკვე მას პირადი მოტივი ამოძრავებდა. შესაბამისად, სადავოა მისი ქმედების ხულიგნობად კვალიფიკაციის საკითხი.

IV. სადავოა, აგრეთვე, მელორ ვაჩინაძის ქმედების თაღლითობად კვალიფიკირების საკითხი. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ვერ აღმოიფხვრა ეჭვი შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით: ქმედება, რომლის ჩადენაშიც მელორ ვაჩინაძის მსჯავრდება მოხდა, სამოქალაქო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს თუ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან; ჰქონდა თუ არა მელორ ვაჩინაძის მხრიდან ადგილი მოტყუუბის ფაქტს სხვისი ნივთის დაუფლების მომენტში (თაღლითობის მაკვალიფიცირებელი გარემოება); იყო თუ არა მოტყუუბა ნივთის დაუფლების ხერხი; ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ დაგეგმილი, რომ თანხის დაზარალებულისგან მიღების შემდგომ ავტომანქანას სხვას მიჰყიდდა, ანუ – მოტყუუბის წინასწარი განზრახვა. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება არ მიუთიობს განზრახვის არსებობაზე. არც მოსამართლე მსჯელობს აღნიშნულ გარემოებებზე განაჩენში.

ამ საქმის კონტექსტში აღსანიშნავია სამართალდამცავი ორგანოების არაერთგვაროვანი მიდგომა და არსებული ბუნდოვანი პრაქტიკია საქმის სისხლისამართლებრივ თუ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობად კვალიფიკირებისთან დაკავშირებით. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრში სისხლისამართლებრივ სფეროში კონსულტაციის უმრავლესობა ეხება წი-

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 მაისის განჩინება საქმეზე №109აპ-10.

ნასწარი გამოძიების არდაწყებაზე საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესების განმარტებას. ყველაზე ხშირად წინასწარი გამოძიების არდაწყების საფუძველია ის, რომ სადაც საკითხი სამოქალაქო ურთიერთობის საგანია. კვლევაში განხილულია ასევე ორი სხვა მაგალითი. აღნიშნულ შემთხვევებში ურთიერთობა არ იქნა მიჩნეული სისხლისამართლებრივად და, შესაბამისად, წინასწარი გამოძიება არ დაწყებულა. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია, რითი ხელმძღვანელობები სამართალდამცავები ერთ შემთხვევაში ურთიერთობის სისხლისამართლებრივი წესით კვალიფიკაციისა და, მეორე შემთხვევაში, სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობად კვალიფიკაციისას.

V. ცალკე აღნიშნის ლირსია ვაჟა კაპანაძის საქმე. ვაჟა კაპანაძეს ბრალდება ედავება იმას, რომ ინდ. მენარმის საქმიანობის შემოწმებისას უნდა მოეხდინა იმპორტირებული საქონლის დაბეგვრა ინვოისით და არა საბაჟო დეკლარაციით.

საქმეში დევს ექსპერტიზის ორი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, რათა ნათელი მოპფენოდა ბუნდოვან საკითხს. საქმეში დევს ასევე შემოსავლების სამსახურის სათათბირო საბჭოს სხდომის ოქმი. აღნიშნულ სხდომაზე დადგინდა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 93-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის შეძენის პირველად დოკუმენტად, რომელიც იძლევა ხარჯების გამოქვითვის საშუალებას, უნდა ჩაითვალოს ექსპორტიორის მიერ გამოწერილი ინვოისი (რომელიც დადასტურებული იქნება ექსპორტიორისა და იმპორტიორის მიერ), ხოლო გამოსაქვით თანხებად ჩაითვლება ინვოისში დაფიქსირებული თანხები და არა საბაჟო დეკლარაციაში მოცემული საბაჟო ლირებულებები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავად ზემოხსენებული მუხლი არ უთითებს, თუ რომელი დოკუმენტი უნდა იყოს გამოყენებული ხარჯების გამოქვითვის საშუალებად: ინვოისი თუ საბაჟო დეკლარაცია. შემოსავლების სამსახურის სათათბირო საბჭომ დაადგინა,

რომ ამ მუხლის მიზნებისთვის ინვოისის გამოყენება უმჯობესი იქნებოდა. თავად საგადასახადო კოდექსი ოფიციალურ დოკუმენტთა ნუსხაში მოიხსენიებს საბაზო დეკლარაციას და არა ინვოისს. შესაბამისად, გაურკვეველია კანონმდებლობით ცალსახად დაურეგულირებელ და პრაქტიკაში სადავო საკითხზე პირის სისხლისამართლებრივი მსჯავრდება.

VI. ეჭვს იწვევს ნელი ნავერიანის სისხლის სამართლის საქმეში მის მიმართ ბრალად წაყენებული მუხლის კვალიფიკაციის მართებულობა. 6. ნავერიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ გამოძალვაში (სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლი), რაც ნიშანავს სხვისი მოძრავი ნივთის გადაცემის მოთხოვნას ჯგუფურად და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, რასაც ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ნელი ნავერიანმა, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, ინვესტორის წარმომადგენელს ფულადი თანხა მოსთხოვა თავისი ოჯახის მამაპაპისეულ საკუთრებად მიჩნეული მინის ნაკვეთის სანაცვლოდ, რომელიც სახელმწიფო ინვესტორზე გაასხვისა.

სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით დადგენილი შემადგენლობა რომ იყოს სახეზე, ამისათვის აუცილებელია, არსებობდეს სუბიექტური მხარის ნიშანი: პირის მიერ აღქმა იმისა, რომ ეს ნივთი არის სხვისი. სუბიექტურ მხარესთან ერთად, აუცილებელია, არსებობდეს ასევე ობიექტური მხარის ნიშანიც: მუქარის განხორციელება. მოცემულ საქმეში ირკვევა, რომ 6. ნავერიანი მინის ნაკვეთს, რომელიც მის ოჯახს ათეულობით წლების განმავლობაში ჰქონდა სარგებლობაში, მიჩნევდა თავისად და ამის ჭეშმარიტებაში დარწმუნებული იყო. უფრო მეტიც, ის აპირებდა, რომ თანხა სასამართლოს მეშვეობით, კომპანიაციის სახით მიეღო. ეს ფაქტობრივი გარემოებები გამორიცხავს მის მიერ იმის შეგნებას, რომ ნივთი იყო სხვისი. რაც შეეხება დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს, მუქარას, ნელი ნავერიანის მხრიდან ამის განხორციელება ასევე ვერ დგინდება საქმის მასალებიდან გამომდინარე. გამოძალვის შემადგენლობისთვის, მინიმუმ, სახე-

ზე უნდა ყოფილიყო 6. ნავერიანის მხრიდან სიტყვიერი მუქარა, ან მის მიერ თავისი კონკლუდენტური მოქმედებით მუქარის გამოხატვა. ნელი ნავერიანის საქმეში არც ერთი უტყუარად არ დასტურდება.

დაცვის მხარის შუამდგომლობების დაუკმაყოფილებლობის ტენდენცია

რამდენიმე საქმეში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის ეტაპზე არ მომხდარა დაცვის მხარის მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი შუამდგომლობების დაკმაყოფილება. კვლევაში განხილულ საქმეებში დაცვის მხარეს უარი ეთქვა ისეთი ტიპის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა: დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვა; კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება; საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გამოთხვისა და საქმისთვის დართვა; ჩანაწერებისა და ვიდეომასალების დართვა და გამოქვეყნება და ა.შ. მაგალითად, ვლადიმერ ვახანიას საქმეში, დაცვის მხარის აქტიურობით, აღდგენილ იქნა სახლში დამონტაჟებული ვიდეოკამერით გადაღებული ფირი, რომელიც რეალურად ასახავს მოვლენებს და ენინალმდეგება ბრალდების მხარის მოწმეების (პოლიციის თანამშრომლების) მიერ სასამართლოს სხდომაზე მიცემულ ჩვენებას. თუმცა, აღნიშნული მასალა, უსაფუძვლოდ, არ დაერთო საქმეს. იგივე შეიძლება ითქვას რატი მილორავას საქმეზე, სადაც თავად ბრალდების მიერ იქნა წარმოდგენილი დაცვის მხარის სასარგებლო ვიდეოჩანანერი, რომელზეც აშკარად ჩანდა არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ფაქტები¹⁵ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, რაც სასამართლოს მიერ რეაგირების გარეშე იქნა დატოვებული.

¹⁵ ვიდეოჩანანერში დაფიქსირებულია, თუ როგორ ატყუებს პროცესორი რატი მილორავას, თითქოსდა მისმა ადვოკატებმა უარი განაცხადეს მის დაცვაზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა).

სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების არაგონივრულად გაჭიანურება

გოჩა ჯიქიას¹⁶ საქმეზე წინასწარი გამოძიება 2007 წლის 26 ნოემბერს დაიწყო. ფაქტობრივად, გამოძიებამ, ის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა შედეგად მიღებულ მტკიცებულებებსაც ემყარება საბრალდებო დასკვნა, დაახლოებით სამთვეში ამონურა. ობიექტურად, შესაძლებელი იყო, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება დასრულებულიყო და საქმე სასამართლოში გადაგზავნილიყო. ამის საწინააღმდეგოდ, იგი არაგონივრულად გაჭიანურდა და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა 2008 წლის ნოემბერში (ბოლო ძირითადი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 10 თვის შემდეგ). პირველი სასამართლო პროცესი აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა 2009 წლის 30 მარტს (საქმის გადაგზავნიდან 4 თვის შემდეგ), 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე.

ანალოგიურად გაჭიანურდა როგორც წინასწარი გამოძიება, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის მერაბ ქათამაძის სისხლის სამართლის საქმეზეც, სადაც ზუსტად ბრალდებულად ყოფნის 12 თვიანი ვადის გასვლამდე ხუთი დღით ადრე დასრულდა წინასწარი გამოძიება და შედგა საბრალდებო დასკვნა, მაშინ როცა ბოლო საგამოძიებო მოქმედება 2009 წლის 14 დეკემბერს ჩატარდა. ფაქტობრივად, საქმე უმოძრაოდ იყო 6 თვის განმავლობაში და მხოლოდ 2010 წლის ივნისში გაიგზავნა სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ გადაგზავნიდან გასულია 10 თვეზე მეტი, სასამართლო პროცესი ჯერ არ ჩანიშნულა.

აღნიშნულმა საქმებმა გამოკვეთა ორი პრობლემა: პირველი, სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურება წინასწარი გამოძიების სტადიაზე, რა დროსაც, ძირითადი საგამოძიებო მოქმედებების დასრულების მიუხედავად, საქმის გადაგზავნა არ ხდება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი ბრალდებულად ყოფნის 12 თვიანი ვადის ამონურვამდე. მეორე,

¹⁶ გოჩა ჯიქია იყო 2007 და 2009 წლების ოპოზიციის საპროტესტო აქციების აქტიური მონაზილე.

სისხლის სამართლებრივი დევნის გაჭიანურება სასამართლო განხილვის სტადიაზე, რა დროსაც გირაოშეფარდებულ პირთა მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოში გაგზავნის შემდეგ, მისი ჩანიშვნა და განხილვა არ ხდება გონივრულ ვადებში. თუ პირველი შემთხვევა განეკუთვნება პრაქტიკაში არსებულ პრობლემას, მეორე შემთხვევა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საკანონმდებლო ხარვეზი, ვინაიდან კანონით არ არის განსაზღვრული გირაოშეფარდებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის ვადა.

მამუკა ცინცაძის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ სასამართლოში გადაგზავნილი საქმის განხილვა ჩაინიშნა და დაიწყო დროულად¹⁷ (საპრალდებო დასკვნა შედგა 2009 წლის 25 ივლისს და სასამართლო განხილვა ჩაინიშნა 30 ივლისს). თუმცა, მას შემდეგ, რაც მ.ცინცაძეს აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება – შეეცვალა გირაოთი, საქმის განხილვის პროცესი გაჭიანურდა. 2009 წლის 1 ოქტომბერს დაცვის მხარემ იშუამდგომლა დამატებითი მოწმის სახით გამოძიებლის დაკითხვის შესახებ და ამ თარიღიდან დღემდე¹⁸ პროცესი იდება ან მოწმის გამოუცხადებლობის მოტივით ან სასამართლო პროცესზე პროკურორების ხშირი ცვლის გამო.¹⁹ შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა 11 თვის განმავლობაში მ. ცინცაძის საქმეზე სასამართლო პროცესის ჩატარება.

საინტერესოა მელორ ვაჩნაძის საქმეც, სადაც, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად შეჩერებული წინასწარი გამოძიება

¹⁷ საქმის სასამართლოში გადაგზავნის ეტაპზე ბრალდებულ ცინცაძეს აღკვეთის ღონისძიებად შეეცარდებული ჰქონდა დაპატიმრება, რაც, მოგვიანებით, სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, კერძოდ, 2009 წლის 18 აგვისტოს დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე შეეცვალა გირაოთი.

¹⁸ 2011 წლის აპრილი.

¹⁹ სასამართლო სდომაზე სხვა პროკურორის გამოცხადების შემთხვევაში, როდესაც იგი არ იცნობს სისხლის სამართლის საქმის მსალებს, მას ეძლევა ვადა მასალების გასაცნობად. აღნიშნულ გარემოებას ადგილი ჰქონდა განსახილველი საქმის შემთხვევაში.

განახლდა მელორ ვაჩნაძის საზოგადოებრივი აქტიურობის შემდეგ, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების პერიოდში. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2008 წლის 26 მაისს, თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა – მისი დაკავებით და შემდგომი მსჯავრდებით – განხორციელდა მელორ ვაჩნაძის პოლიტიკური აქტივობის (2009 წლის აპრილის აქციები) შემდეგ. კერძოდ, მელორ ვაჩნაძეს ბრალი წაეყენა 2009 წლის 27 ივლისს, ხოლო საქმის გარშემო საგამოძიებო მოქმედები ჩატარებულია 2009 წლის მაისში. კითხვის ნიშნებს ბადებს თავისთავად ის ფაქტი, რომ საქმეზე, რომელიც უმოძრაოდ იყო 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ მაშინ, როდესაც მელორ ვაჩნაძე აქტიურად ჩაება 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებში.

სასჯელის პროპორციულობა

სააპელაციო სასამართლოს მიერ სასჯელი რადიკალურად შემცირდა რომან კაკაშვილის, თამაზ ტლამაძის, დავით გუდაძისა და გოჩა ჯიქიას მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში.

რომან კაკაშვილის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში სააპელაციო სასამართლომ მას სამი წლისა და 6 თვის ვადით დანიშნული სასჯელი შეუმცირა და საბოლოოდ დაუნიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. სასამართლო მხოლოდ ზოგადად უთითებს, რომ ითვალისწინებს შემამსუბუქებელ გარემოებს, თუმცა, კონკრეტულად რა გარემოება მიაჩნია ასეთად, არ ასახელებს.

დავით გუდაძის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში, სადაც პირველი ინსტანციით სასამართლოს მიერ დანიშნული 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა სააპელაციო სასამართლომ 2000 ლარის ოდენობის ჯარიმით შეუცვალა, არ არის დასაბუთებული, თუ რა განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებები უძლოდა ამას წინ.

გოჩა ჯიქიას მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს

მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი – 3 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა – სააპელაციო სასამართლომ შეამცირა და დანიშნა ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით, სადაც ასევე არ დაასაბუთა, რა კონკრეტული შემამსუბუქებელი გარემოებები არსებობდა სასჯელის შესამცირებლად. ამ საქმეში საგულისხმოა, რომ თავად პროეურორმა იშუამდგომლა სასჯელის შემსუბუქება.

თამაზ ტლაშაძის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნული სასჯელი – 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა – სააპელაციო სასამართლომ შეამცირა და დაუნიშნა 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამ შემთხვევაში, სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ის, რომ თ.ტლაშაძე არ იყო ნასამართლევი, თუმცა, არც ამჯერად დაასაბუთა, თუ რა კონკრეტული შემამსუბუქებელი გარემოებები არსებობდა სასჯელის შესამცირებლად.

ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს დადასტურებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი გარემოებები, რაც დანაშაულის კვალიფიკაციას განსაზღვრას. ამასთან, საპროცესო დარღვევები, რომლებზეც დაცვის მხარე ამახვილებს ყურადღებას, სასამართლოს მიერ არ არის გაზიარებული.

2007 წლის 25 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე იძლევა მითითებებს, თუ რა გარემოება მიიჩნევა შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებად ზოგიერთი დანაშაულის ჩადენისას.²⁰ აღნიშნულის თანახმად, შემამსუბუქებელ გარემოებებად ჩამოთვლილია: ნასამართლობის არქონა, თანამშრომლობა წინასწარ გამოძიებასთან, ბრალის აღიარება. ამ გარემოებების არსებობისას, სასჯელი მხოლოდ

²⁰ აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკული დანაშაულის მიმართ (260-ე მუხლი) არ არის განსაზღვრული მითითებები, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის შენახა-ტარებისთვის (236-ე მუხლი) – გათვალისწინებულია.

უმნიშვნელოდ მცირდება იმ შემთხვევებში, როდესაც თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახედ რჩება. ამასთან, მითითებულია, რომ სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას, შესაძლებელია სასჯელის შემცირება ან გაზრდა ხ თვემდე ვადით.²¹

ზემოაღნიშნულ საქმეებში მხოლოდ ერთი შემამსუბუქებელი გარემოება არსებობდა – ნასამართლობის არქონა.²² გარდა ამისა, სასამართლოს სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები დანაშაულის ჩადენას საჯარო ადგილს მიიჩნევს დამამძიმებელ გარემოებად, თუმცა, მაგალითად, რომან კაკაშვილს, რომელსაც, ბრალდების თანახმად, დანაშაული სწორედ საჯარო ადგილას ჰქონდა ჩადენილი, სასამართლომ პირიქით – დაუსაბუთებლად შეუმცირა სასჯელი აღნიშნული გარემოების გაუთვალისწინებლად.

საინტერესოა ასევე ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანა ამ საქმეებზე მოხდა ერთსა და იმავე პერიოდში, კერძოდ, გ.ჯიქიას მიმართ – 2009 წლის 19 ნოემბერს, რ.კაკაშვილისა და თ.ტლაშვაძის მიმართ – 2009 წლის 17 ნოემბერს, ხოლო დ.გუდაძის მიმართ – 2009 წლის 16 ნოემბერს.

²¹ იხ. სახელმძღვანელო რეკომენდაციები და წინადადებები, გვ. 177.

²² გოჩა ჯიქიას გარდა, რომელიც ნასამართლევია.

III. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საეთები

კვლევაში განხილულია ირაკლი კაკაბაძის საქმე, რომელიც 2010 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით დაჯარიმებულ იქნა სასამართლოს მიერ და ასევე 2009 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შს მთავარ სამმართველო-სთან დაკავებული 5 პირის საქმე, რომლებსაც იმავე დღეს სასამართლო დადგენილებით შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით, წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობისთვის.

აღნიშნული საქმეების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (სამართალ-დამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა) არასწორ გამოყენებას, რეალურად იმის გამოკვლევისა და დადგენის გარეშე, თუ რაში მდგომარეობდა სამართალდამცავი ორგა-ნოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნა და რაში გამოიხატა ამ მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებში²³ საქმის განხილვა ფორმ-ალურ ხასიათს ატარებს. ძირითადად, ხდება სამართალდამ-ცავი ორგანოების მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებისა და დაკავებულის ახსნა-განმარტების მოსმენა. სხვა მტკიცებ-ულებების არსებობით სასამართლო არ ინტერესდება, ხოლო მაშინ, როდესაც არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ახსნა-განმარტებები თრი მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან (პოლ-იციელი და დაკავებული), სასამართლო იზიარებს მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების ახსნა-განმარტებას იმის დასაბუთების გარეშე, თუ რატომ არის პოლიციის თანამშრომლის ახსნა-განმარტება უფრო სარწმუნო. მიუხედავად იმისა, რომ

²³ ეს ძირითადად გამოჩნდა 2009 წლის 15 ივნისს დაკავებული პირების სასამართლო პოლიციების მიმდინარეობისას.

კანონით აკრძალული არ არის, სასურველია, რომ მხოლოდ დამკავებელი პოლიციელების ჩვენება არ იყოს მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად. აღნიშნული კატეგორიის საქმეებში შეინიშნება პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობისათვის მტკიცებულებათა არასაკმარისობა. საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ფონზე, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო²⁴ ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას განმარტავს, რომ თავისი ხასიათით და დანიშნული საჯელის სიმძიმით ეს ურთიერთობა უტოლდება სისხლისამართლებრივ ურთიერთობას. შესაბამისად, ის გარანტიები, რაც უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირისათვის, უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებზეც.

დასკვნა

კვლევაში განხილული საქმეების სამართლებრივმა ანალიზმა გამოავლინა სისტემური ხარვეზები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას იმ პირთა მიმართ, რომელებიც, საკუთარი ან უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური საქმიანობის ან საზოგადოებრივი აქტივობის გამო, ხელისუფლების შესაძლო ოპონენტებად შეიძლება ჩაითვალონ. ამას ხელს უწყობს როგორც საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე საპროცესო კანონმდებლობის არასწორი განმარტება და მავნე პრაქტიკა. განხილულ საქმეებში, როგორც წესი, ყოველგვარი ეჭვი, გამოწვეული საკანონმდებლო ხარვეზით თუ საქმეზე ვერშეკრებილი უტყუარი მტკიცებულებებით, დაკავებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის ინტერესების საწინააღმდეგოდ განიმარტება. საგამოძიებო ორგანოების თვითნებობას სათანადო კონტროლს ვერ უწევს და ბრალდების პოზიციას იზიარებს სასამართლო ხელისუფლება, რომლის როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უკიდურესად

²⁴ საქმეებზე Gurepka v. Ukraine და Galstyan v. Armenia.

ნიველირებულია.²⁵

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა რამ-
დენიმე საქმე, რომელთა მიმართ არსებობდა ეჭვები ბრალ-
დების პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით. სასამართლო
პროცესებზე გამოკვეთილი ნაკლოვანებები და სამართლებრი-
ვი ხარვეზები იძლევა უნდობლივის საფუძველს ამ საქმეებში
მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. მო-
ცემული კვლევის მიზნებისთვის, ზემოაღნიშნული საქმეები არ
შეგვიდარებია სხვა მსგავსი საქმეებისთვის, რომლებშიც სა-
ვარაუდოდ პოლიტიკური მოტივი არ არსებობდა, თუმცა, და-
კვირვების შედეგად აღმოჩენილი სერიოზული ხარვეზებიდან
გამომდინარე, შესაძლოა, დავასკვნათ შემდეგი:

- 1) ჩვენ მიერ განხილული საქმეები არის პოლიტიკურ ბრალ-
დებათა სანიმუშო მაგალითი.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქმეები პოლიტიკური
მოტივაციის მქონე არ არის და წარმოადგენს „ჩვეულებრივ“
საქმეებს, მაშინ:

- 2) სამართალწარმოება დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევებზე საქართველოში სერიოზულ ხარვე-
ზებს მოიცავს ყველა სხვა საქმის მიმართაც.

ეს უკანასკნელი დასკვნაც პირველზე არანაკლებ უარყოფითი
იქნებოდა.

კვლევა შეიცავს იმ საქმეების მოკლე ინფორმაციას, რომელთა
ანალიზიც ჩვენ მიერ განხორციელდა.

²⁵ ერთადერთი გამონაკლისი იყო მამუკა (ზურიკი) ჩხვიმიანის საქმე, რომელიც
შეწყდა სასამართლოს 2009 წლის განჩენებით მას შემდეგ, რაც პროკურატურამ
უარი თქვა ბრალდებაზე.

სისხლის სამართლის საქმეები

1. მერაბ ქათამაძე

- რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი, ბიულეტენ „რესპუბლიკელების“ რედაქტორი;
- განსასჯელი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის და საპრძოლო მასალის შეძენა და შენახვა;
- სისხლის სამართლის საქმეზე დასრულდა წინასწარი გამოძიება და განსჯადობით გადაიგზავნა სასამართლოში, სადაც განხილვა ჯერ არ დაწყებულა.

2. ნელი ნავერიანი

- მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი საარჩევნო ბლოკიდან – „ალიანსი საქართველოსთვის“; ხელისუფლების მაღალჩინოსნების ერთ-ერთი მამხილებელი მოწმე მესტიაში 2010 წლის 3 მაისის წინასაარჩევნო ინციდენტზე დაწყებულ წინასწარ გამოძიებაში;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით – გამოძალვა, განხორციელებული ჯგუფურად და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის განაჩენი;
- საკასაციო წესით განაჩენის გასაჩივრებაზე მსჯავრდებულმა უარი განაცხადა.

3. დავით უორჟოლიანი

- კახა უორჟოლიანის ძმა, რომელიც კენჭს იყრიდა ოპოზიციურ კანდიდატად საარჩევნო ბლოკიდან „ალიანსი საქართველოსთვის“. 2010 წლის 3 მაისის წინასაარჩევნო

ინციდენტის დროს კ.ჟორჟოლიანმა მესტიის მუნიცი-
პალიტეტის გამგეობის შენობიდან გამოიყვანა საკრე-
ბულოს ოპოზიციონერი მაურიტარი კანდიდატები
ვახტანგ და ლერო ნაკანები, რომლებსაც აიძულებდნენ
განცხადების დაწერას საარჩევნო რეგისტრაციიდან მო-
სხის თაობაზე;

- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე
მუხლის პირველი ნაწილით – ჯანმრთელობის განზრას
მძიმე დაზიანება;
- სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განე-
საზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი;
- უზენაესმა სასამართლომ საჩივარი ცნო დაუშვებლად.

4. მამუკა ცინცაძე

- რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზა-
ციის წევრი, 2009 წლის აპრილის საპროტესტო აქციების
აქტიური მონაწილე;
- განსასჯელი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის
შეძენა და შენახვა;
- სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს სასამართ-
ლო განხილვა.

5. გოჩა ჯიქია

- რესპუბლიკური პარტიის აქტიური მხარდამჭერი, 2007
წლის შემოდგომისა და 2009 წლის გაზაფხულის საპრო-
ტესტო აქციების აქტიური მონაწილე;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე
მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით – საპრძოლო მასალის,
ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობი-
ლობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარე-
ბა;

- სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განე-
საზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით;
- სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენში შეტანილ
იქნა ცვლილება სასჯელის ნაწილში და გ. ჯიქიას განე-
საზღვრა ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით, რაც გარკვეუ-
ლი პერიოდის განმავლობაში პატიმრობაში ყოფნის ვა-
დის გათვალისწინებით შეუმსუბუქდა და საბოლოოდ გა-
ნესაზღვრა ჯარიმა 2 500 ლარის ოდენობით.

6. თამაზ ტლაშაძე

- რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი, 2009 წლის
გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური
მონაწილე, მათ შორის, „კარვების ქალაქის“ ბინადარი,
არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი ქალაქის“ ერთ-
ერთი დამფუძნებელი;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე
მუხლის პირველი ნაწილით – ნარკოტიკული საშუალების
უკანონო შეძენა, შენახვა;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ძირითად
სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3
წლის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ნაწილში შეიტანა
ცვლილება: თავისუფლების აღკვეთა შეამცირა 6 თვის
ვადით.

7. დავით გუდაძე

- რესპუბლიკური პარტიის გორის ორგანიზაციის წევრი,
2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტი-
ური მონაწილე;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე
მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით – საბრძოლო მასალის
მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის
სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა
4 წლის ვადით;

- სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ნაწილში შეიტანა ცვლილება: თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა ჯარიმით – 3 000 ლარის ოდენობით.

8. რომან კაკაშვილი

- პარტია „თავისუფლების“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე, მათ შორის, „კარვების ქალაქის“ ბინადარი;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ნაწილში შეიტანა ცვლილება: თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა ჯარიმით – 5 000 ლარის ოდენობით

9. მამუკა შენგალია

- პოლიტიკური მოძრაობა „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსათვის“ მხარდამჭერი, ბადრი ბინაძესთან დაახლოებული პირი, 2009 წლამდე მუშაობდა საქართველოს საზღვრის დაცვისა და დეპარტამენტში;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შენახვა (ორი ეპიზოდი) ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენაში დახმარება – სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული (მესამე ეპიზოდი). სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი – დიდი

ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის მცდ-ელობა;

- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით 236-ე მუხლისთვის სამივე ეპიზოდში, ხოლო 260-ე მუხლისთვის – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;
- სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი;
- უზენაესმა სასამართლომ საჩივარი ცნო დაუშვებლად.

10. ედიშერ ჯობავა

- პოლიტიკური პარტია „ახალი მემარჯვენების“ წევრი, პარტიის წარმომადგენელი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსანინაალმდეგო შექენა, შენახვა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა;
- პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახედ დაენიშნა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად 1 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.

11. ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანი

- კონსერვატიული პარტიის დმანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე და მათ შორის, „კარვების ქალაქის“ ბინადარი;
- ბრალდებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – ასაფეთქებელი მოწყობილობის და საბრძოლო მასალის უკანანო შეძენა, შენახვა;

- პირველი ინსტანციის სასამართლოში შეწყდა სისხლის-სამართლებრივი დევნა.

12. მერაბ რატიშვილი

- პარტიის – „ჩვენ თვითონ“ – დამფინანსებელი, რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქე, ბიზნესმენი რუსეთსა და საქართველოში, „გოლფის“ ეროვნული ასოციაციის დამფუძნებელი;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი;
- უზენაესმა სასამართლომ საჩივარი ცნო დაუშვებლად.

13. შალვა გოგინაშვილი

- პოლიტიკური მოძრაობა „7 ნოემბრის წევრი“, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით – განზრახ მკვლელობის მცდელობა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასა ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და ამავე კოდექსის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – პოლიციის მუშავის მიმართ წინააღმდეგობა წესრიგის დაცვი-სათვის ხელის შემლისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით ჩადენილი ძალადიბით;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად ორივე დანაშაულისათვის ერთად განე-საზღვრა თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით;

- სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი;
- განაჩენი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელ-მაც საჩივარი ცნო დაუშვებლად.

14. კოტე კაპანაძე

- 2009 წლის 18 ივნისამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თელავის საგადასახადო ინსპექციის მთავარი ინსპექტორის მოვალეობის შემსრულებლად, საიდანაც გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე. კოტეს ძმა, ვაჟა კაპანაძე არის ოპოზიციური პარტია „ახალი მემარჯვენების“ წევრი. მან ლაგოდებში დააფუძნა რეგიონული ოფისი, რომლის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო კოტე კაპანაძეც, კერძოდ, იგი აგროვებდა ხელმოწერებს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პლებისციტის ჩასატარებლად;
- მსჯავრდებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით – მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესების წინააღმდეგ;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი;
- განაჩენი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელ-მაც საჩივარი ცნო დაუშვებლად.

15. მელორ ვაჩინაძე

- პოლიტიკური მოძრაობის – „შემოგვიერთდით“ – წარმომადგენელი, 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე, მათ შორის, „კარვების ქალაქის“ ბინადარი;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თაღლითობა,

ე.ი. სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი;
- განაჩენი გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც საჩივარი ცნო დაუშვებლად.

16. სერგო ბესელია და რატი მილორავა

- სერგო ბესელია – მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის პოლიტიკური პარტიის ყოფილი წევრის ეკა ბესელიას ძმა, რატი მილორავა – ეკა ბესელიას შვილი;
- მსჯავრდებულები სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით – ხულიგნობა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ნინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის მიმართ;
- 2010 წლის 28 აგვისტოს შეწყალებულ იქნენ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.

17. ლევან გოგიჩაიშვილი

- „მოძრაობა 7 ნოემბერი“ წარმომადგენელი;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – ჯანმრთელობის განზრაა მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით;
- სააპელაციო სასამართლომ განაჩენი დატოვა უცვლელი;
- უზენაესმა სასამართლომ საჩივარი ცნო დაუშვებლად.

18. კლადიმერ ვახანია

- რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქე; თანადამფუძნებელი პოლიტიკური პარტიისა – „მთლიანი საქართველო“; სხვადასხვა აკადემიური წოდების მფლობელი;
- მსჯავრდებული სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით – უურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობის მუქარით და ამავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექნა, შენახვა;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად ორივე დანაშაულისათვის განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;
- სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში: სასჯელის სახედ და ზომად ორივე დანაშაულისათვის განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით;
- უზენაესმა სასამართლომ საჩივარი ცნო დაუშვებლად.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

1. ირაკლი კაკაბაძე

- „თანასწორობის ინსტიტუტის“ დამფუძნებელი, აშშ-ს მოქალაქე, პოეტი, არაერთი საპროტესტო აქციის ორგანიზატორი/მონაბილე. დაკავებული იქნა ჯორჯ ბუშისა და ლებ კაჩინსკის ქუჩების კვეთაზე მიმდინარე მშვიდობიან აქციაში მონაწილეობის დროს;
- ადმინისტრაციულად სახდელდადებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით – სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება ი.კაკაბაძის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე და დაეკისრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით;
- სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული დადგენილება ძალაში დატოვა.

2. მერაბ ჭიქაშვილი – წარმომადგენელი მოძრაობისა „რატომ“; დაჩი ცაგურია – წარმომადგენელი მოძრაობისა „7 ნოემბერი“; მიხეილ მესხი – წარმომადგენელი მოძრაობისა „თანასწორობის ინსტიტუტი“; გიორგი საბანაძე – წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიისა „ახალი მემარჯვეონები“; გიორგი ჩითარიშვილი – წარმომადგენელი მოძრაობისა „7 ნოემბერი“:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს წინ 2009 წლის 15 ივნისის საპროტესტო აქციისა და იმავე წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეები;
- ადმინისტრაციულად სახდელდადებულები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით – სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებ-

ბლობა და ამავე კოდექსის 166-ე მუხლით – წვრილმანი ხულიგნობა;²⁶

- პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება მათი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე და შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით;
- დადგენილების გადასინჯვის მოთხოვნით საჩივარი შეტანილ იქნა სააპელაციო სასამართლოში, რაც არ დაკმაყოფილდა.²⁷

²⁶ გიორგი ჩითარაშვილი სამართალდამრღვევად ცნობილ იქნა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით.

²⁷ გიორგი საბაზაძის დადგენილება არ გასაჩივრებულა.